

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ლექსიკოლოგიური ასპექტები: პროფესიული/დარგობრივი ლექსიკა; დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები.

გრამატიკული ასპექტები: დროში თანამიმდევრობისა (შემდეგ, მერე, მანამ ... სანამ, მას შემდეგ, რაც...) და სივრცული განლაგების გამომხატველი ზმნიზედები, სიტყვათმეხამებანი და სიტყვა-კავშირები; მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის ამსახველი ენობრივ-გრამატიკული (ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) საშუალებანი; მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამომხატველი მოდალური სიტყვები, კავშირები და წინადადების წყობა; ეპიკური და სცენური თხრობისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები; მხატვრული ნაწარმოების სტილის განმსაზღვრელი ფონოლოგიური (ალიტერაცია, ასონანსი) და სემანტიკური ფიგურები (მეტაფორა, ეფემიზმი, მეტონიმია), სინტაქსური ფიგურები; თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები და ამ კონსტრუქციების კავშირები, ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა ფორმები, ჩართული სიტყვები და გამონათქვამები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, სიტყვის ლექსიკური და სემანტიკური განმეორებები, სინონიმური და ანტონიმური ჩანაცვლებები, ავტორისეული პოზიციის გამომხატველი დამხმარე ზმნების სტრუქტურა და ფუნქციები.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ზეპირი მოხსენება (საჯარო გამოსვლა). მოხსენების მიზნის განსაზღვრა, დაგეგმვა და მომზადება. ძირითადი თვალსაზრისები, არგუმენტები, დასკვნები. ზეპირი გამოსვლის აუდიტორია, მისი ცოდნის დონე და ინტერესები. ზეპირი გამოსვლის ეფექტის გამაძლიერებელი სტრატეგიები.

ტექსტის ტიპები: სხვადასხვა ხასიათის რეცენზია, პირადი და ოფიციალური წერილები, ოქმი, საინფორმაციო ანგარიში.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

სწავლების ამ ეტაპზე შეირჩევა სხვადასხვა პერიოდის შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა, რათა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა პერიოდის ტექსტების გაანალიზება და შედარება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით, აგრეთვე, გააცნობიეროს, თუ რა თემები, იდეები და პრობლემებია დამახასიათებელი ამა თუ იმ ეპოქისათვის, რა გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქა ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემის გადაჭრის გზებზე, რა ღირებულებებისა და ფასეულობების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს ეს პრობლემები. შერჩეული ტექსტები ჟანრობრივადაც მრავალფეროვანი უნდა იყოს: პოეზიის საუკეთესო ნიმუშებთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ეპიკური და დრამატული ჟანრის ნაწარმოებები,

პუბლიცისტიკა, მემუარული და ავტობიოგრაფიული თხზულებები, ლიტერატურული ესეები; შესაძლებელია პოლიჟანრული ნაწარმოებების შეტანაც.

ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად სასურველია უცხოური ლიტერატურის (როგორც პოეზიის, ისე პროზის) იმ ნიმუშების წარმოდგენაც, რომლებიც იმავე ეპოქაშია შექმნილი და ტიპოლოგიისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით ახლოს დგას სწავლების ამ ეტაპისათვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან.